საერთაშორისო ტურიზმის განვითარების ტენდენციები

ლალი მიქელაძე
სტუ-ს დოქტორანტი
ელ.ფოსტა: lalitourizm@gmail.com

რეზიუმე

სტატიაში ნაჩვენებია მსოფლიო ეკონომიკაში საერთაშორისო ტურიზმის განსაკუთრებული დატვირთვა, რისი გამოვლენაც ხდება არა მარტო ეკონომიკურ, არამედ, პოლიტიკურ და კულტურულ ასპექტებში. ტურისტული მოთხოვნის ფორმირება საერთაშორისო ბაზარზე, საწარმოო ძალთა განვითარების დონე, ტურპროდუქტების მოხმარების თავისებურებები და საერთოდ, ტურისტული ბაზრის ფუნქციონირებისა და სეგმენტაციის მასშტაბები. ნაჩვენებია ,რომ საერთაშორისო ტურიზმი დღეისათვის საგარეო ეკონომიკური მოღვაწეობის ერთ-ერთ ყველაზე დინამიკურად განვითარებული დარგია და განურჩევლად იზრდება მისი გავლენა, როგორც მსოფლიო ეკონომიკაზე მთლიანად, ისე ცალკეული ქვენების რეგიონების ეკონომიკაზე.

საკვანძო სიტყვები:
საერთაშორისო
ტურიზმი
ეკონომიკა
ტურისტები
სტატისტიკა
მსოფლიო

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ტურიზმის, როგორც მომსახურების ინდუსტრია XXI საუკუნეში სწრაფი ტემპით ვითარდება. მაღალი ეკონომიკური და სოციალური ეფექტიანობის გამო მას ეკონომიკური ფენომენის სტატუსი მიენიჭა. ტურიზმი ასევე განიხილება, როგორც საერთაშორისო ბიზნესის სახეობა და მსოფლიო მეურნეობის განვითარების მნიშვნელოვანი ბერკეტი. იგი საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების შემადგენელი ნაწილია, მისი როლი და მნიშვნელობა განუწყვეტლივ იზრდება, როგორც ქვეყნის ეკონომიკაში, ისე, საზოგადოებაში მთლიანად. ტურიზმის განვითარება პირდაპირ კავშირშია სახელმწიფოთა ურთიერთობებთან, სოციალურ, საგანმანათლებლო და ეკონომიკურ სფეროებთან.

საერთაშორისო ტურიზმის განვითარების ტენდენციები

საერთაშორისო ტურიზმი ზოგადად გადაადგილებაა (მოგზაურობა) მუდმივი საცხოვრებელი ადგილიდან ქვეყნის საზღვრებს გარეთ. კონკრეტულად კი იგი მოგზაურობათა სისტემაა, სახელმწიფოებს შორის მტკიცედ აღიარებული პროცედურების დაცვით. საერთაშორისო ტურიზმი ორი სახისაა: **შემომყვანი** (ქვეყნის საზღვრებში იმ პირთა გადაადგილება, რომლებიც მოცემულ ქვეყანაში მუდმივად არ ცხოვრობენ) და **გამყვანი** (მოცემულ ქვეყანაში მუდმივად მცხოვრებ პირთა გადაადგილება უცხო ქვეყანაში).

საერთაშორისო ნორმებითა და სტატისტიკით, უცხოელ ტურისტებს მიეკუთვნება ყველა ის პირი, რომელიც სხვა ქვეყანაში ჩადის სხვადასხვა მიზნით, გარდა იმ პროფესიული საქმიანობისა, რომლის ანაზღაურება ამ ქვეყნის მიერ ხდება. ასეთი აღრიცხვის სისტემით, უცხოელ ტურისტთა რიცხვში შედიან არა მარტო ექსკურსიით ჩამოსული ადამიანები, არამედ, დასვენების, მკურნალობის, სპორტულ და სხვადასხვა სანახაობებზე დასასწრებად, ნათესავებთან, მეგობრებთან უცხო ქვეყანაში ჩასული პირები და სხვ.

საერთაშორისო ტურისტული ორგანიზაციების შეთანხმებითა და ოფიციალური მონაცემებით, მსოფლიოში ძირითადად გამოიყოფა ექვსი ტურისტული რეგიონი:

1. ევროპა (საბაზრო წილი 57,7%);
2. ჩრდ. და სამხრ. ამერიკა კარიბის ზღვის აუზთან ერთად (საერთო საბაზრო 33,5%);
3. ახლო აღმოსავლეთი (საბაზრო წილი 4,9%);
4. აზია, ავსტრალია და ოკეანეთი (საბაზრო წილი 1,4%);
5. აფრიკა (საბაზრო წილი 4,5%).

ევროპა დღევანდელი მსოფლიო ტურიზმის ლიდერია. იგი გამოირჩევა შიგა ტურიზმის სტაბილური განვითარებით. აღსანიშნავია სამეული საფრანგეთი-ესპანეთი-იტალია, რომელთა წილი ბაზარზე არის 14,3-15,2-13,7%, ხოლო ტურისტთა წლიური რიცხვი მერყეობს 75-68-59 მლნ-ის ფარგლებში. ტურებისა და ტურისტების ძირითადი მოტივაციაა შედარებით მცირე ტერი-

ტორიაზე კულტურათა მრავალფეროვნება, მომსახურების მაღალი ხარისხი და კარგი ინფრასტრუქტურა. აქ განვითარებულია ტურიზმის ყველა სახეობა და წლის ოთხივე სეზონზე მოთხოვნა სტაბილურია. ბუნებრივი ზონები დაწყებული ცივი და ზომიერი სარტყლიდან დამთავრებული ხმელთაშუა ზღვის სუბტროპიკული სარტყლით ქმნის რეკრეაციის მრავალფეროვნებას, ეს კი მნიშვნელოვანი ფაქტორია ტურისტული ნაკადების ზრდისა..

საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში ტურიზმი გამორჩეულ როლს ასრულებს. აბსოლუტური მაჩვენებლების მიხედვით, იგი ჩამორჩება ნავთობის, ნავთობპროდუქტებისა და მოხმარების საგნების ექსპორტს. პროცენტულად კი საერთაშორისო ტურიზმი მსოფლიო ეკონომიკაში ასეა წარმოდგენილი:

- ტურიზმზე მოდის მთლიანი შიდა პროდუქტის (მ.შ.პ.) 13,6%;
- მომსახურების სფეროს - 17,3%;
- მსოფლიო ეკონომიკაში განხორციელებული ინვესტიციების - 14,8%;
- საერთო დანახარჯების მოცულობაა 700-800 მლრდ ა.შ.შ. დოლარი;
- მსოფლიო ეკონომიკაში ყოველი მეათე სამუშაო ადგილი მოდის ტურ.ინდუსტრიაზე.

საერთაშორისო ტურიზმს ორი ტენდენცია ახასიათებს:

1. მისი დამოკიდებულება საგარეო ეკონომიკურ და პოლიტიკურ ფაქტორებზე;
2. ეკონომიკური ციკლების ცალკეული ფაზების დროს საქმიანობის მასშტაბების სწრაფი აღდგენისშესაძლებლობები (უნარი).

მსოფლიო ეკონომიკაში საერთაშორისო ტურიზმს განსაკუთრებული დატვირთვა აქვს, რისი გამოვლენაც ხდება არა მარტო ეკონომიკურ, არამედ, პოლიტიკურ და კულტურულ ასპექტებში. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ახალი ტიპები ქმნიან ტურიზმის განვითარების განსაკუთრებულ პირობებს (იგულისხმება, როგორც საერთაშორისო, ისე, ეროვნული ტურიზმი). ტურისტული მოთხოვნის ფორმირება საერთაშორისო ბაზარზე, გარკვეულწილად ახასიათებს საწარმოო ძალთა განვითარების დონეს, ტურპროდუქტების მოხმარების თავისებურებებს და საერთოდ, ტურისტული ბაზრის ფუნქციონირებისა და სეგმენტაციის მასშტაბებს[1].

მსოფლიოს ყველა ტურისტულ რეგიონს გააჩნია ღირსშესანიშნაობანი, რომლითაც შეიძლება ტურისტების დაინტერესება. ზოგიერთი მათგანი აღიარებულია მსოფლიოში და ხშირ შემთხვევაში გამოდის ქვეყნის **„ტურისტულ მარკად"**. ყველა ტურრეგიონი და ქვეყანა ცდილობს აამაღლოს საერთაშორისო ტურიზმის ეკონომიკური ეფექტიანობა, გაზარდოს ტურისტთა რაოდენობა, ტურების ვადები და საშუალო ამონაგები. ტურინდუსტრიის ეფექტიანობის მაჩვენებელს, რომელიც ზოგადად ახასიათებს დარგის შემოსავლიანობას.

მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის მიხედვით, მსოფლიოს მთავრობებმა ტურიზმის განვითარებისთვის მეტი უნდა იმუშაონ, რადგან ორგანიზაციის უახლესი კვლევის მიხედვით, ტურიზმი ის სფერო აღმოჩნდა, სადაც კრიზისის პირობებშიც კი ახალი სამუშაო ადგილები გაჩნდა. კვლევის მიხედვით, 2013 წელს საერთაშორისო ტურიზმის ინდუსტრია 3,8%-ით გაიზარდა. ამ სფეროში მოზიდულმა ინვესტიციებმა კი ისტორიაში პირველად ტრილიონ დოლარს გადააჭარბა.

ტურისტული ბიზნესიდან ყველაზე მეტი შემოსავალი აშშ-მ მიიღო. მას მოსდევს ევროპა, აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონი და აფრიკა. კვლევის მიხედვით, ახლო აღმოსავლეთი ერთადერთი რეგიონია, სადაც ტურისტული ბიზნესი შემცირდა.

მსოფლიო ტურისტული ორგანიზაცია მსოფლიოს მთავრობებს სამართლიანი საგადასახადო პოლიტიკის გატარებას და ვიზების მიღების პროცედურების გამარტივებას ურჩევს.

საერთაშორისო ტურიზმი დღეისათვის საგარეო ეკონომიკური მოღვაწეობის ერთ-ერთ ყველაზე დინამიკურად განვითარებული დარგია. განურჩევლად იზრდება მისი გავლენა, როგორც მსოფლიო ეკონომიკაზე მთლიანად, ასევე ცალკეული ქვენების რეგიონების ეკონომიკაზე. კვლევების შედეგები გამუდმებით ამტკიცებენ, რომ ტურიზმი მსოფლიოს უდიდესი მრეწველობის სფეროა და ეკონომიკის ყველაზე სწრაფად მზარდი სექტორი. იგი ხშირად განიხილება, როგორც რეგიონალური განვითარების მთავარი, და ახალი ეკონომიკური საქმიანობის, მასტიმულირებელი ინსტრუმენტი. დღესაც, მიმდინარე ეკონომიკური გამოწვევებისა და მნიშვნელოვანი რეგიონალური განსხვავებების მიუხედავად, საერთაშორისო მოგზაურობები და ტურიზმი აგრძელებს ზრდას. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის პროგნოზით, გლობალური ეკონომიკური და ფინანსური კრიზისის ნეგატიური გავლენის მიუხედავად, მომდევნო ათწლეულის განმავლობაში, საერთაშორისო ტურიზმი მნიშვნელოვან ზრდას განიცდის. მომდევნო ათი წლის განმავლობაში ექსპერტები ტურიზმის სფეროში წლიურ 4% ზრდას მოელიან. ზედიზედ რამდენიმე წლიანი ზრდის



მ.ტ.ო 2014 წ.

შემდეგ ტურიზმის სექტორმა ვარდნა განიცადა, რაც 2008 წლის მეორე ნახევარში დაიწყო და 2009 წელს გამძაფრდა. მკვეთრად შემცირებულმა ტურისტულმა ნაკადებმა, ქვეყანაში ყოფნის ხანგრძლივობამ, ტურისტების ხარჯებმა და ბიზნეს მოგზაურობების ხარჯებზე გაზრდილმა შეზღუდვებმა, ტურიზმის სექტორში ეკონომიკური აქტივობის მნიშვნელოვანი შემცირება გამოიწვია. მიუხედავად ამისა, გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია 2019 წლისთვის სექტორისგან 296 მილიონი სამუშაო ადგილის უზრუნველყოფას მოელის. „ტურიზმს აქვს პოტენციალი, კრიზისის შემდეგ სამუშაო ადგილების მთავარ გენერატორად იქცეს", – განაცხადა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალურმა დირექტორმა და დასძინა: „მთავრობებს, დამსაქმებლებსა და მშრომელებს შორის სოციალური დიალოგი ღირსეული სამუშაო ადგილების წარმოქმნას უზრუნველჰყოფს".



მ.ტ.ო 2014 წ.



მ.ტ.ო 2014 წ.

XX-XXI საუკუნის მიჯნაზე მსოფლიო მასშტაბით ტურიზმი ძალიან საინტერესო მიმართულებით ვითარდება. ტურიზმზე მოდის მსოფლიო ექსპორტის 6% და მომსახურებით მსოფლიო ვაჭრობის 30% ტლიანი დასაქმების დაახლოებით 9%. გარდა ამისა დარგში იქმნება მშმ დაახლოებით 10%. მსოლიო ტურიზმისგან მიღებულმა შემოსავლებმა /2 013/ ტრილიონ დოლარს, ხოლო ტურისტთა რაოდენობამ მილიარდს გადააჭარბა.

ზოგადად მსოფლიო ქვეყნებში ტურიზმის მდგრადი განვითარება დამოკიდებულია სახელმწიფო პოლიტიკასთან. „ტურიზმი ხელს შეუწყობს ეკონომიკურ ზრდას. ახალ სამუშაო ადგილებისა და ქვეყნის განვითარებას, მაგრამ მას ამისათვის სჭირდება მხარდამჭერი საჯარო პოლიტიკა. კანონმდებლებმა მხარი უნდა დაუჭირონ ძლიერი და ხელსაყრელი სამოქმედო გარემოს შექმნას ტურიზმში" გამოქვეყნდა გამოცემა UNWITO Word Tourism Barometer და მისი თანხლები სტატისტიკური დანართი, რომელიც შეიცავს საერთაშორისო ტურიზმის შედეგების ანალიზს 2014 წლის პირველი ათი თვის განმავლობაში, და ეყრდნობა მთელი მსოფლიოს მასშტაბით ახალ და მიღებულ მონაცემებს.

2014 წლის იანვარსა და ოქტომბერს შორის საერთაშორისო ტურისტთა (სადღაღამისო ჩამომსვლელთა) რაოდენობამ მიაღწია 978 მილიონს, 45 მილიონით მეტს, ვიდრე 2013 წლის ამავე პერიოდში. ზრდა არის 4.7%, საერთაშორისო ტურიზმი მუდმივად იზრდება უფრო მეტად, ვიდრე ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის გრძელვადიანი პროგნოზია 2010-2020 წლებში (+3.8%). უნდა დავძინოთ, რომ დარჩენილ ორ თვეში მონაცემების დამატებით, სავარაუდოდ, წლის ბოლომდე მივიღებთ ახალ რეკორდს - მეტი 1.1 მილიარდზე მეტ ჩამოსულ ტურისტს.

რეგიონების მიხედვით ყველაზე ძლიერი ზრდა პირველი ათი თვის განმავლობაში რეგისტრირებული იყო ამერიკაში (+8%), მას მოსდევს აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნები (+5%) და ევროპა (+4%). ქვერეგიონების მიხედვით ყველაზე წარმატებული იყო ჩრდილოეთი ამერიკა (+9%) და სამხრეთი აზია (+8%), შემდეგ მოდის სამხრეთი და ხმელთაშუაზღვისპირეთის ევროპა, ჩრდილოეთ-აღმოსავლეთი აზია და ჩრდილოეთი ევროპა (ყველა +7%).

„ამ ტენდენციის თვალსაზრისით, საერთაშორისო ტურიზმი 2014 წელს დაასრულებს რეკორდული მაჩვენებლებით", განაცხადა ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა თალებ რიფაიმ. „ეს არის შესანიშნავი შედეგები, თუ გავითვალისწინებთ, რომ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში კვლავაც ვაწყდებით მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ და ჯანდაცვის პრობლემებს, ხოლო მსოფლიო ეკონომიკის აღდგენა რჩება საკმაოდ მერყევ საკითხად", თქვა მან, "მთავარია, ჩვენ ვხედავთ მზარდ პოლიტიკური ვალდებულებას ტურიზმის სექტორის მიმართ ბევრ ქვეყანაში. ეს წამახალისებელია, თუნდაც იმიტომ, რომ ტურიზმის არის ერთ-ერთი სექტორი, რომელსაც წარმატებით

შეუძლია დასაქმება, მაშინ როდესაც სამუშაო ადგილების შექმნა ყველასათვის უმთავრესი ამოცანა უნდა იყოს".[1]

2014 წლის დასასრულს მიღებული შედეგები მთელ მსოფლიოში მიუთითებს, რომ კიდევ ერთი წარმატებული წელი იქნება საერთაშორისო ტურიზმისთვის. პირველი ათი თვის განმავლობაში ჭIთ ჭორდ თოურისმ არომეტერ-ის მონაცემებით, საერთაშორისო ტურისტების რაოდენობა გაიზარდა 5%-ით. ზრდა მოლოდინზე მეტია. შემდეგ, საერთაშორისო ტურიზმის ამ ტენდენციის მიხედვით, საერთაშორისო ტურიზმმა 2014 წლის ბოლოსათვის დაამყარა ახალი რეკორდი – 1.1 მილიარდზე მეტი საერთაშორისო ტურისტის მოგზაურობა მსოფლიოში ერთ წელიწადში.

დასკვნა

მსოფლიოში ტურიზმის როლი და მნიშვნელობა სულ უფრო მზარდი ტენდენციიტ ხასიათდება. როგორც მსოფლიო გამოცდილებიდან ჩანს ტურისტულ ქვეყნებში ტურიზმის მეშვეობით მნიშვნელოვნად ვითარდება ვაჭრობისა და მომსახურების სფერო, რაც იწვევს სავალუტო შემოსავლებისა და დასაქმების ზრდას, ეროვნული ტრადიციებისა და კულტურული მემკვიდრეობის მსოფლიო ასპარეზზე გატანას და მათი შენარჩუნების ფინანსურ უზრუნველყოფას. სწორედ ამიტომაც ტურიზმი აღმოჩნდა მრავალი ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტებს შორის.

მსოფლიოში ტურიზმი მაღალ შემოსავლიანი დარგია, რომელსაც მესამე ადგილი უკავია განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში, ნავთობითა და იარაღით ვაჭრობის შემდეგ.ბევრ ქვეყანაში, ტურიზმი დიდ როლს თამაშობს მთლიანი შიგა პროდუქტის და დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნაში, მოსახლეობის დასაქმებასა და სახელმწიფო ბიუჯეტის შევსებაში. ტურიზმი უდიდეს გავლენას ახდენს ისეთ დარგებზე, როგორიცაა: ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, მშენებლობა, სოფლის მეურნეობა, ფართო მოხმარების საქონლის წარმოება და სხვ. ამჟამად ეკონომიკის სფეროზე ტურიზმის ეკონომიკური ზემოქმედების მოდელი ბევრად გართულდა და ეყრდნობა არა თეორიულ კონცეფციებსა და ჰიპოთეზებს, არამედ სტატისტიკურ მონაცემებს.

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში მრავალი გეოპოლიტიკური, ეკონიმიკური, სოციალური თუ სხვა პრობლემები და საფრთხეები არსებობს, ტურისტების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება,საერთაშორისო ტურისტული შემოსავლები 1950 წლიდან 2014 წლამდე კოლოსალური რიცხვებით გაიზარდა. თუ 1950 წელს შემოსავალი 2 მილიარდი დოლარი იყო, იგი 1980 წლისთვის 104 მილიარდამდე გაიზარდა. 1995 წელს 415 მილიარდი შეადგინა, 2014 წლის მონაცემებით 1245 მილიარდი გახდა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მეტრეველი მ., ტურიზმის ეკონომიკა და პოლიტიკა. თბ., 2011.
2. მეტრეველი მ., ტურიზმის ბიზნესი. თბ., 2011.
3. ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი ა. ოქროცვარიძე თბ.2011
4. ბერიშვილი ხ., საერთაშორისო ტურიზმის ბიზნესი. თბ., 2012.
5. World Tourizm Organization -Calli Caitan Haya2014-S pain
6. UNWTO-World Tourizm Barometer-2014-Dec.-barom@unwto.org
7. www. unwto. org/pub
8. http://europa.eu
9. http://www.un.org/ru/

TENDENCIES OF DEVELOPMENT OF THE INTERNATIONAL TOURISM

LALI MIQELADZE

E-mail: lalitourizm@gmail.com

Summary

The article is showing the world economy, the special meaning of international tourism, discovering what is happening not only in economic, but also in political and cultural aspects. Tourist demand of the international market, the level of development of productive forces, the main features of using tourist products and general operation of the tourism market segmentation and magnitude. It is shown that international tourism is today one of the most dynamic sectors of economic activity and has growing impact on the rise as the world economy as a whole, as well as in the lower regions of the economy.

[1] UNWTO-World Tourizm Barometer-2014-Dec